1976

პირველი სექტემბერია

კ. გოგიაშვილი

ქუჩებს მოედო ხალისი,
ხარობენ, ყველგან მღერიან,
რა ჟრიამული გაისმის?
პირველი სექტემბერია!

მიდიან, მიიჩქარიან,
რა ჭრელაჭრელა ფერია,
მიუსარიათ ყვავილებს—
პირველი სექტემბერია!

მომღიმარ გოგო-ბიჭუნებს
სკოლის მერჩები ელიან,
მიდიან, მიბაკუნებენ,
პირველი სექტემბერია.

რა ხალისია ქუჩებში,
რა საამურად მღერიან;
სკოლაც კარს უღებს:
— მობრძანდით,
პირველი სექტემბერია!

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალიში

იური ნარიმანიძე

ნახატი ზაურ დეისაძისა

დეიდა ლიამ პატარა მარიკას ჭრელი ჩითის ლამაზი ბალიში შეუკერა.

— რად გინდა ეგ ჭრელაჭრულა;—უთხრა მარიკას მოხუცმა ბებიამ,—შენ ხომ უკვე მოსწავლე ხარ.

მარიკელამ ბალიში ჯერ მეზობლის გოგობიჭებში ჩამოატარა, მერე კი ფერად ქაღალდში გაახვია და თავის ყავისფერ ჩანთაში ჩადო.

— სად მიგაქვს ეგ ბალიში?—გაუკვირდა პატარა მერაბს.

— სად მიმაქვს და, სკოლაში!

მერაბს მეტისმეტი გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა და სიცილი აუტყდა:

— შეხეთ, შეხეთ, ამ ძილისგუდას, სკოლაში ბალიში მიაქვს, ეტყობა იქაც ძილს აპირებს!

მაგრამ მერაბი არ იყო მართალი, მარიკელას სკოლაში კი არა, სახლშიც სძულდა ზედმეტი ძილი და ნებივრობა.

მარიკას იმ დღეს პირველად მოუწია კლასში მორიგეობა და ის ჭრელაჭრულა ბალიში რისთვისაც სჭირდებოდა, ალბათ თქვენ თვითონ მიხვდებით...

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სკოლისაკენ

მზია ჩხეტიანი

აწკრიალდა სექტემბერი:
— წკრია, წკრია, წკრიი...
გოგო-ბიჭი — ბევრი, ბევრი,
შეფრთხიალდა —
ფრი!..
— სკოლისაკენ,
სკოლისაკენ! —
ეველა ფრთასა შლის
ფერდობ-ფერდობ,
ვაკე-ვაკე,
გზა-გზა ქარიც ქრის...
მზე კისკისებს შუქდამტკბარი,
გზებზე ნათელს ღვრის.
აშრიალდა დედა ენაც, —
შრია, შრია, შრიი...
ამისთანა ძალხაზებთან
მეგობრობა ღირს!

ნახატი **მალხაზ კუხაშვილისა**

ახალი

მარგო თომაძე

საბავშვო ბაღში გოგონა მოვიდა. წაბლისფერი ხვეული თმები ამშვენებდა. დიდი, თეთრი ბაფთა ეკეთა. გვირილებით მოჩითულ წითელ კაბაზე, გულთან ჭიამაია ჰქონდა ამოქარგული. პატარა, ერთი ბეწო ბაგე მაგრად მოეკუმა და გაოცებული შესცქეროდა თეთრ ხალათებში გამოწყობილ ბავშვებს.

ბავშვებმა თამაში და ჟრიამული უცებ შეწყვიტეს და უხმოდ მიაჩერდნენ თოჯინასავით კოხტად გამოწკეპილ უცხო გოგონას.

დიდხანს უყურეს, უყურეს და უცებ ყველამ ერთად წამოიძახა:

— ახალი, ახალი, ახალი!

გოგონას ლოყაზე ხელს უსვამდნენ, ეფერებოდნენ, ჰკოცნიდნენ:

— ახალი, ახალი, ახალი!

სიმღერასავით ისმოდა მათი ჟღურტული.

გოგონამ ითმინა, ითმინა და ველარ მოითმინა, პატარა ბაგე უცებ გააღო და ხმამაღლა დაიძახა:

— მე ახალი არა ვარ, მე ნინიკო ვარ!

ნახატი **მზია უგულავასი**

სექტემბერი რთველი

თამარ კალატოზი

მცხუნვარება მოაკლდა
მობრიალე მზეს.
სულ სხვა შუქი შემოჰყვა
ამ სექტემბრის დღეს.
ესმის ზარის წკრიალი
ირგვლივ მთას და ველს;
ჩემი გული სიამით
სკოლისაკენ ფრენს.

გიორგი მეტრეველი

ჰაუ, რა ყურძენია,
რა მაგარი რთველია!
მამუკა და ლეილა
დახტიან და მღერიან.
გია ამბობს:—ავჭერი
ერთი დიდი აკიდო,
თუ მე ვერ მოვერიე,
კახას უნდა ავკიდო!

წინანდალში

ტარიელ ხავთასი

თუთა, ბალი, ალუბალი,
დათო, ავთო, ნინა, დალი,
ჩქარა, გასწი, ჩვენო ავტო,
გველოდება წინანდალი.
გვიწვევს ზვრები თვალუწვდენი
ქარვისფერი მტევნებითა;
მაჭარს ასდის ოხშივარი
პირდაღებულ ქვევრებიდან.
ჰერი, ბიჭო, ჰერი, ჰერი,
არ იქნება უქმად დგომა,
ბეღლებთან და ნალიებთან
ამაყად დგას შემოდგომა;—
სავსე გოდრით, სავსე ურმით,
ავტოების სავსე ძარით.
აქ სიმინდის ღელავს ყანა,
იქით—მძიმედ სუნთქავს ზვარი.
ლოყაწითელ თურაშაულს
გაუღიმა ბროწეულმა.
ასე უხვი შემოდგომა
აქ არასდროს მოწეულა.
აბა, აქეთ, აბა მარდად,
დათო, ავთო,
ნინო, დალი,
შრომა, გარჯით გავახაროთ
საყვარელი წინანდალი.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

ტბასთან

მერი გოლქვაძე

ეს რა ლამაზი ტბაა, ცისფერი წყლით სავსე, გარშემო თოვლის თეთრი ფიფქივით მარილის არშია ავლია; ვერცხლისფრად ლაპლაპებს. ნამდვილი სარკეა.

— მოდი, ერთი ჩავიხედო!—დილაადრიან ტბის სარკეში პირველმა ჩიტმა ჩაიხედა.

— რას ხედავ?—მოცუნცულდა კურდღელი და მანაც ჩაიხედა ტბაში.

— ჩემს თავს, ჭიკჭიკა ჩიტუნიას!—გაეცინა ჩიტს.

— მეც ჩემს თავს ვხედავ,—ყურცქვიტას და მარდფეხას !

მათ დანახვაზე იხვის ჭუჭულიც მოვახვახდა და ჩაიხედა ტბაში:

— მეც, მეც, მეც ჩემს თავს ვხედავ, ოქროსავით ყვითელს და ბამბასავით ფაფუკს...

— მოდი, ახლა ყველამ ერთად ჩავიხედოთ!—თქვა კურდღელმა.

ჩაიხედეს.

ჩაიხედეს და თქვეს: «ჩვენს თავს ვხედავთ და

ერთმანეთსაცო».

— მეტს არაფერს?! მე იმდენ რამეს ვხედავ!— ჩამოსძახა ციდან ახლადამოსულმა მზემ,—აბა, დააკვირდით!

დააკვირდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი დაინახეს.

— აბა, გვითხარი, რას ხედავ?—სთხოვა კურდღელმა,—შენს თავს ხედავ?

— ვხედავ!

— კიდევ რას?

— ბევრ რამეს: ჩემს თავს ვხედავ, თქვენც გხედავთ, აი, იქ, ქვევით სიღრმეში—ლამაზ, ფერად ქვებს და კენჭებს, ლამაზ მცენარეებს, ცელქ, კუდრაჭა თევზებს... ბაყაყსაც კი ვხედავ, დიდი ქვის გვერდით წევს გატრუნული,—ჩამოთვალა მზემ.

— როგორ ხედავ სიღრმეში?!—გაუკვირდა სამივეს.

— მე ხომ ტბის ფსკერზე ჩავეშვი! სხივებით გავანათე იქაურობა და დავინახე კიდეც ყველაფერი!

— მოდი, ჩვენც ჩავიდეთ!—წამოხტა ეშმაკუნა იხვის ჭუჭული,—მე ცურვაც ვიცი და ყვინთვაც!

— ჰო, შენ კი ჩახვალ, მაგრამ ჩვენ?—გული დასწყდათ კურდღელსა და ჩიტს.

— ჩასვლა არ გინდათ, აბა, თვალი გააყოლეთ ჩემს სხივებს!—ააბჭყვრიალა სხივები მზემ. ჩიტმა, კურდღელმა, იხვის ჭუჭულმა თვალი ჩააყოლეს მზის სხივებს და ყველაფერი, რაც მზემ თქვა, ყველაფერი კარგად დაინახეს...

— მე კი ამოდენა ტბაში ჩემი თავის მეტს ვერაფერს ვხედავდი!—თავისთავს დასცინა ჩიტუნია ჩიორამ.

— ჩვენც, ჩვენც!—გაეცინათ სხვებსაც.

— ეს მზის სხივი რა დალოცვილია, თვითონ ხომ ანათებს და ხედავს, შენც რას არ დაგანახვებს!—აღტაცებული ხტუნავს კურდღელი.

— უხილავს ხილულს ხდის!—თავს უქნევს თანხმობით ჩიტი...

ასე ბაასობენ და თან ტბას ჩასცქერიან, სადაც მზის სხივი ოქროსფერი ლაპლაპითა და ციალით ყირა-ყირა გადადის თევზებთან და წყლის აბრეშუმის გრაგნილებთან ერთად.

იაკობ გოგებაშვილი

100 წლის წინათ დიდმა ქართველმა პედაგოგმა, მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა შეადგინა და გამოსცა ქართველთათვის პირველდაწყებითი სასწავლო წიგნი: „დედა ენა“.

გოგებაშვილის ეს წიგნი პატარა ქართველს ასწავლის: დედ-მამის პატივისცემას, წინაპართა დაფასებას, სამშობლოსათვის თავდადებას, მეგობრისადმი ერთგულებას, ბუნების სიყვარულს... ერთი სიტყვით: ყოველივე იმას, რაც აკეთილშობილებს ადამიანს.

აყვავდი ტურფა ქვეყანავ,
ილხინე ივერთ მხარეო
და შენც ქართველო სწავლითა
სამშობლო გაახარეო

აი, მოკლედ, „დედა ენის“ ავტორის სურვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგებაშვილის „დედა ენაზე“ აღიზარდა არა ერთი თვალსაჩინო ქართველი, რომელმაც თავისი სწავლითა და სიბრძნით ნამდვილად გაახარა და ასახელა სამშობლო.

დღეს მთელი საქართველო ზეიმით აღნიშნავს ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ გამოცემის 100 წლისთავს, მადლიერების გრძნობით იგონებს ამ დიდებული წიგნის ავტორს, იმ ნათელ ადამიანს, რომლის ფიქრი დღესაც თავს ევლება ჩვენს ქვეყანას.

ჩემო პატარა მეგობარო!

ეგ შენი „დედაენაც“ შედგენილია მია იაკობის „დედა ენის“ მიხედვით.

აბა, შენ იცი, როგორ კარგად ისწავლი!

როგორი კარგი კაცი გამოხვალ!

როგორ გაახარებ დედის გულსა და სამშობლოს!

დედა ენა

ანუ

ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი

სახალხო შკოლებისათვის

შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

გამოცემა პირველი. სურათებით.

ფასი ექვსი შაური.

თბილისი

მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში.

1876

ფოტოები დავით სამხარაძისა

თავის გაწირვა

იაკობ გოგებაშვილი

ორი უმაწვილი გადამტერებული იყო ერთმანეთზე. სადაც კი შეხვდებოდნენ ერთმანეთს, უთუოდ ჩხუბი უნდა მოსვლოდათ. ერთხელ მდინარის პირას წაიკიდნენ და დაიტაკნენ. ბევრი იბრძოლეს, თავბრუ დაესხათ, ვეღარა გაიგეს რა, ერთი მათგანი მდინარეში გადავარდა. წყალმა ბავშვი წაიღო და იხრჩობოდა. დიდთაგანი ახლომახლო არავინ შეესწრო, უმაწვილები კი იყვნენ იქა, ზოგმა ცურვაც იცოდა, მაგრამ წყალს ვერავინ შებედა, ყველას ეშინოდა. მდინარე ადიდებული მიქუხავდა და მიშველება მეტად სახიფათო იყო. წყალწაღებულ უმაწვილს უსათუოდ დაღუპვა მოელოდა.

მაგრამ მას მხსნელად აღმოუჩნდა ის, ვისგანაც ამას სრულიად არავინ არ მოელოდა. ნაპირზე დარჩენილი უმაწვილი თავისი პატარა მტრის სიბრალულით აივსო, მაღალმა წადილმა გაიტაცა და ადიდებულ მდინარეს არ შეუშინდა: იმრო სწრაფად ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში. ცურვა ჩინებული იცოდა და თავის-თავის იმედი ჰქონდა.

ჩახტა თუ არა უმაწვილი წყალში, მდინარემ იმ წამსვე დაუბრუნა და ჩაეურჯუმელავა: „ვაიმე, ამასაც დაეხრჩობინებ! წეეული მდინარე!“ —შეჰკივლეს ბავშვებმა. მაგრამ მამაცმა ბავშვმა მალე ისევ ამოიეურჯუმელავა, წყალს ზევით მოექცა და სწრაფი ცურვით გაექანა წყალწაღებული ბავშვისაკენ. ბოლოს, როგორც იყო, მიუახლოვდა დაბნედილ ბავშვსა. ცალი ხელი მაგრა ჩასჭიდა და მეორე ხელით და ფეხებით იწყო ცურვა ნაპირისაკენ.

საქმე ახლა უფრო გაძნელდა. წყალმა არა ერთხელ გაამოსტაცა ხელიდან ბავშვი, არა ერთხელ აუკსო პირი და შეუგუბა სული, მაგრამ უშიშარი და თავგანწირული უმაწვილი ბოლოს მაინც ეწია თავის სასიქადულო გულის წადილსა: გადაარჩინა თავისი პატარა მტერი დახრჩობასა და ცოცხალი გამოიყვანა ნაპირზე.

იქ მეოფი ბავშვები აღტაცებულნი ასეთი საამაგალითო საქციელით, მისცვივდნენ უმაწვილს, გადაეხვივნენ და მხურვალე გადაკოცნით დააჯილდოვეს.

ამ დღიდან წინანდელი მოსისხლე მტერნი შეიქმნენ გულითადი მეგობრები და ერთმანეთს აღარაფერი ერჩივნათ სიკვდილამდე.

ნახატი **მალხაზ კუხაშვილისა**

ოფოფი

ოფოფი სცხოვრობს კარგად, შინდორსა
და ტყეში. ამიტომ კარგად ფრინველი
ჰქვიან. ოფოფი პატარა ფრინველია. ტანი
აქვს წერილი და მოკრული. ბილო კრმული
აბია. თავზე ლამაზი ქოჩორი ასხია. ეს
ქოჩორს საკარგსელი ჰქვიან. ამ საკარგსელს
ხან კაშლის და ხან დაჭეტვის. ნისკარტი
აბია კრმული და წერილი. ფერად ოფოფი
ჭრელია. ჩუნში ბოდის ვაზაფხულზე. მე-
ოდგომაზე ისევ ობილს ქვეყნებში ბიდის.

პაპარა ქაღის ნაბვრა

ნეტავი რადმე მაქცია,
ბულბულად გადამაქცია:
ბულბულის ენა მასწავლა,
ამ ბაღებს შემომაჩვია.

კაჭკაჭი და ყვავი

(ხალხური)

კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო,
ჩავარდი გულის—ხმასაო,
კაცი რომ დაიკუზება,
ბენთვის აილებს კვასაო.

კეთილი ძმა

შემოდგომა იყო. ვენახში ბლები მსხალსა ჰკრეფდენ. ხანდრო ვენახის კარებთან იდგა და უცქეროდა. ბლებმა ხანდრო დაინახა, დაუძახეს ერთი დიდი ბუმბერაზი ბლები მისცა. ხანდროს უნდოდა ბუმბერაზი ბლები მიეტანა, მაგრამ ჩალაბანი ბლებიც მოაგონდა და შინისკენ გაკურცხლა. შინ ამბავს ეუბნება ავადმყოფი და. „დედალო, ეს ბლები არ ეკმეევა?“ — ჰკითხა ხანდრომ დედასა. — ჩალაბანი არა, შვილო!—უთხრა დედამ. ხანდრო ერთ წამსვე დაიბადა თავის დის ლოგინთან. მისცა მან მსხალი და ნიამოვნებით უცქეროდა, როცა ქალი ბულიანთ ხუმდა მსხალსა.

კურდღელი და ყანა

(ხალხური ლექსი)

კურდღელო, ნუ სძოვ ყანასა,
პატარაა და ბრალია,
თორემ მოგიტევ მწვერესა,
ჩემი აღარა ბრალია.

გამოცანები

მოვიდა თეთრი მოზვერი,
გაადგა შავი მოზვერი.

ერთსა აღვისა ზებედა,
თორმეტი ტეტი აბია,
სცვივა და სცვივა ფურცელი,
ისევ იმდენი ასბია.

აბი, ბაბი, ვერცხლის ტახტი,
მზით ოქროსთვარით დავდგი.

მძინარე ნიბლია

ნეტამც არ დაგძინებოდა
ჩიტო ნიბლიავ ნარზედა:
გამოგიქროლებს ალალი,
წაგიყვანს მაღლა მთაზედა.

ანდაზები

კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო.
ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.
ბარმაცისათვის ყოველდღე უქმეა.

ნახატები **მანანა მორჩილაძისა**

ჩქარა გამოსათქმელი

ერთსა კაცსა ბლისკენელსა ბლის კალათით
ბლის ხიდზედა ბალი გაეკვლა და გამოაქვს.

ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ დაიჭერთ ადვილად

გიორგი კაჭახიძე

ჩემი ფისო ხატულა
გაიზარდა, დიდია,
მუდამ იქ ზის, ეზოში,
სადაც ბევრი ჩიტია.
ვერ დაიჭერთ ადვილად,
ამაყი და ცქვიტია.

მეტიჩარა შეარქვეს
მეზობელმა ბავშვებმა.
როცა ხასიათზეა,
იცით, მაშინ რას შვრება?
თვითონ ეძებს პატარებს,
ვის არ ეთამაშება.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

ცისოს ძამიკო

სკოლიდან დაბრუნებული
ცისო ეძახის ძამიკოს:
— სად ხარ, გოგიტა, აქ მოდი,
ქადა ვიყიდე, გაგიყოფ.

რა იცის, მისმა ძამიკომ
დღეს რომ იცელქა, ირბინა,
ფისოს დევნაში დაღლილი
დაეცა, მუხლი იტკინა.

კოპლობს, წაუხდა ხალისი
ხტუნვა-თამაშის, სიცილის,—
დამალულია კარს უკან,
ველარ გამოდის სირცხვილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ გაჩნდა ქალაქი

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

კეთილი იყოს ჩემი ფეხი

ხმა დაირხა, სულ აქვე, ყურისძირში, თბილისიდან ორი საათის სავალზე, ტყიან მთებში ახალი ქალაქი გაჩნდაო. ახლა სახელს არ იკითხავთ? მადნეული! რა გული გამიძლებდა ეს ქალაქი არ მენახა.

ავდექი და გავუდექი გზას!

გავიარე თელეთი, კუმისი თავისი მოლიცლიცე ტბით, უკან მოვიტოვე მარნეული, ბოლნისი, და... უცებ თვალის ხამხამი ამიტყდა, ხასხასა სიმწვანეში მრავალსართულიანი შენობები გამოიკვეთნენ. მალე ამ ახალი ქალაქის ქუჩაზე ამოვყავი თავი.

— კეთილი იყოს ჩემი ფეხი!—მივესალმე ამ კოპწია ქალაქს და სკოლიდან ჟივილ-ხივილით გამოშლილ ბავშვებთან მივედი. ერთ ბიჭუნას გამოვეცნაურე, ვთხოვე, ქალაქის დათვალიერება მინდა-მეთქი. სიამოვნებითაო!—მომიგო და საუბარ-საუბრით მადნეულის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში მიმიყვანა, მთავარ ინჟინერთან წარმადგინა და თვითონ თავაზიანად დამემშვიდობა.

კომბინატში კეთილად მიმიღეს, მეგზური მომიჩინეს და შევუდექი ქალაქის გაცნობას.

გაოცებული დავრჩი ბუმბერაზული საქმეების ნახვით, ადამიანის დალოცვილ მარჯვენას რა არ მოუმოქმედნია.

ზურაბ ნაბაკრების ბორცვი

ეს ბორცვი მდინარე კაზრეთულას ხეობაშია ამოზიდული. მას წინაპრის სახელი შემორჩენია. აბა, ვის მოუვიდოდა ფიქრად, რა განძის ბუდე ყოფილა, სწავლული ადამიანები კი გუმანით მიხვდნენ, რაკი მეზობელ ერთ ხეობას ფოლადაური ჰქვია, მეორეს კი—სარკინეთი. უთუოდ ძველად აქ მადანს იპოვებდნენო. წიაღისეულ სიმდიდრეთა მაძიებელ ადამიანებს გეოლოგები ჰქვია, მათ თავიანთი ალღო რომ დაედასტურებინათ, გადაშალეს წიგნები. ქვეყნის ისტორიამ ბევრი რამ უამბო მათ. თურმე მდინარე ფოლადაურისა და მისი მოსაზღვრე ხეობები მეტალურგიის უძველესი კერა ყოფილა. ჩვენი წინაპარი, სახელოვანი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი აღწერდა: „ჭაპალისა დასავლეთით არის ხევი სარკინეთისა, სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოების

მცირე ლაჟვარდიცა“. მეფე ერეკლესაც ალუდგენია ამ ადგილებში ადრე წარმოებული მადნის მოპოება, ლითონის დამუშავება, მაგრამ 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას ყველაფერი მიწასთან გასწორებულა. გავიდა დრო, ძვირფასი მადნეულის ბუდე გაუდაბურდა, მაყვლის ბუჩქნარით გადაიფარა. ესეც ბუნების საიდუმლოება ყოფილა: სადაც სპილენძი ბუდობს, თურმე მაყვალიც იქ იკიდებს ფესვსა. ახლა რა ჯიშიანი და გემრიელი ნაყოფი სცოდნია, თითო კაკლის სიმსხო. ესეც კეთილად ენიშნათ გეოლოგებს და დიდი მოთმინებით სწავლობდნენ ამ კუთხეს.

პირველი მაძიებლები

იური ნაზაროვი დღეს საქვეყნოდ ცნობილი ადამიანია. ამ ოცდაათიოდე წლის წინ კი ახალგაზრდა მეცნიერ-გეოლოგი მხარზე ზურგჩანთით და ხელში წერაქვით ეწვია ამ მიდამოებს. ექვსი წელიწადი დადიოდა ბუნების მკვლევარი კაზრეთის მთებში, დარსა თუ ავდარში. ფეხით შემოიარა მიუვალი, ტყიანი ადგილები და აი, ერთ დღეს გახარებულმა შესძახა: „მადანი!“

ეს შეძახილი იქცა ამ ახალი ქალაქის სახელად.

იური ნაზაროვის ექსპედიციის მთავარი გეოლოგი იყო მისი მეუღლე ვერა ალეინიკოვა; აი, ამ ორი ადამიანის სახელთან არის დაკავშირებული ამ ძვირფასი, ფერადი ლითონების ქალაქის დაბადება.

ზურაბის ბორცვზე ჭაბურღილი დაიდგა სულ ღრმად და ღრმად მიიწევდა ბურღი და გამალებით ღრღნიდა კვარციტებში[1]) ჩამარხულ მადანს.

გამართლდება თუ არა ჩვენი ვარაუდი? ფიქრობდნენ გეოლოგები, მაგრამ უიმედოდ არ იყვნენ. მუშაობის დროს პოულობდნენ სადნობი ღუმელების ნანგრევებს, სანახშირე ორმოებს, შენობების ნარჩენებს, რკინისა და კერამიკულ ნაკეთობებს, ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ბრინჯაოს ნივთებს, ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ წინაპრები იყენებდნენ ამ ბუნებრივ სიმდიდრეს. ამას ადასტურებდა გარშემო მდებარე სოფლების სახელებიც— ზემო და ქვემო წერაქვი, სოფელ ბალიჭში ცხოვრობენ მაღრაძეები, იქნებ ეს გვარიც მემადნეობიდან მოდის და მაღაროს უკავშირდებაო.

ჭაბურღილი კი დედამიწის სიღრმისაკენ მიიწევდა. სამოც მეტრზე რომ ჩაღწია, ტყვია-თუთიის დიდი საბადო აღმოჩნდა. ოთხმოც მეტრზე—კი ბურღის ოსტატმა ილიკო მაღრაძემ ქანის ნატეხი ამოიღო, რომელშიც მომწვანო-ოქროსფრად კიაფობდა სპილენძი...

---

[1]) კვარციტი—მთის ქანი, კვარცისა და ცოტაოდენი სხვა მინერალების მინარევი.

ქაღაქმა იწყო მაჯისცემა

მადანს მიაგნეს! განა ერთს,—მრავალს! ბარიტი, სპილენძი, ტყვია, თუთია... ამიტომ ამ საბადოს ბარიტპოლიმეტალური მადანი უწოდეს.

ნაპოვნ სიმდიდრეს მოვლა უნდოდა. სამთოელები ახლა იმაზე ფიქრობდნენ, როგორ მოეპოვებინათ მადანი ადვილად და იაფად. გარემოს სილამაზესაც უფრთხილდებოდნენ. აიღეს, დაიღეს და გადაწყვიტეს; ბურღით კი არ ამოეღოთ მადანი, ზურაბ ნაბაკრების ბორცვი ხელისგულივით გადაეშალათ. სოფელ კაზრეთის მიყუჩებული მიდამო ყრუ აფეთქებებმა დაარღვია და ერთ მშვენიერ დღეს ბორცვი ვაშლივით შუაზე გაიჭრა, რა ენა აღწერს მისი გულ-მკერდის სილამაზეს, თურმე დედამიწაშიც ყოფილა ცისარტყელა, თეთრად ქათქათებდა აბრეშუმივით ნაზი კვარციტები, ყაყაჩოსავით კიაფობდა იასპი, მწვანედ, ოქროსფრად—სპილენძი...

— თქვენზე ალალია, მშვიდობაში მოიხმარეთ!—უსიტყვოდ ლოცავდა ბუნება თავდადებულ ადამიანებს.

გახურდა მუშაობა. ჩვენი სამშობლოს რომელი კუთხიდან აღარ ჩამოვიდნენ სამთო საქმის ოსტატები, მშენებლები ფერადი მეტალურგიული ქალაქის ასაშენებლად. აგუგუნდნენ ბულდოზერები, ჰაერში აკონწიალდნენ ექსკავატორის გოლიათი ციცხვები, რკინა-ბეტონის გზაზე დაიძრა მადანსაზიდი „ბელაზები"; ხუმრობა საქმეა, თითო მანქანაზე 50 ტონა მადანი დევს. საით მიედინებიან? საით და, მადნის გამამდიდრებელ კომბინატისაკენ! იმისათვის რომ სუფთა ლითონი მიიღონ, ჯერ უნდა დამუშავდეს, გამდიდრდეს, ალბათ იტყვით: მადანს რაღა გამდიდრება უნდა, თავად სიმდიდრეაო; მეც ასე გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე კვარცთან შენივთებული სპილენძის დიდი კრისტალები მიჩვენეს და ამიხსნეს: ხალასი სპილენძი რომ მივიღოთ, ეს მინერალი—კვარცი უნდა მოვაცილოთო. ეს ყოფილა მადნის გამდიდრება. რა თქმა უნდა, ხალასი სპილენძი თავისი თვისებებით უფრო მდიდარი იქნება, ვიდრე მინარევიანი. ჰო, იმას ვამბობდი, ძალიან-ძალიან მოედინებიან „ბელაზები" და მადანს პირდაღებულ სამსხვრეველაში აპირქვავებენ. სამსხვრეველას ავტომატური რკინის ყბები რომ დაინახოთ, თავი ზღაპარში გეგონებათ, „მადიანად ილუკმება", მაგრამ კი არ „შეექცევა", მადანს ახლა დასაქუცმაცებელ სამსხვრეველას სთავაზობს. ისიც ერთხანს ახრამუნებს, ახრამუნებს და ბურთულებიან წისქვილს გადაულოცავს. გუგუნით ტრიალებს გოლიათი დოლაბები, კლასიფიკატორთან[1]) გულჩაკეტილი მადნის ხსნარს რომ დახედოთ,

[1]) კლასიფიკატორი—დაფხვნილი მადნის დამხარისხებელი აპარატი.

თვალწინ რუხი მორევი წარმოგიდგებათ, ოღონდ პრიალა. ამ მასას „პულპას“ ეძახიან, უჩუმრად ბუყბუყებს მორევი, თავზე კი ქაფად ადგება სუფთა სპილენძი, არც ქაფქირია უსაქმოდ, ფაქიზად ხდის ამ ქაფს და შემსქელებელ აპარატში ღვრის. სპილენძიდან გამოცლილ მინარევებს კუდები ჰქვია, ამათ კი ტუმბოებით კუდებსაცავში გზავნიან. თქვენ კუდი უწოდეთ და, იმათაც თავიანთი სიკეთე და გამოყენება აქვთ ქიმიურ წარმოებასა და ნავთის სარეწებში. გამდიდრებული სპილენძით ავსებენ საგანგებო ყუთებს და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მეტალურგიულ ქარხანაში გზავნიან, სადაც ხალასს აპილენძს გამოადნობენ.

მერე? აბა, მიიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო,—ლითონის რამდენი საგანი გემსახურებათ ოჯახში თუ ფაბრიკა-ქარხნებში, რამდენი ხელსაწყო, მანქანის ნაწილები...

ქალაქი მადნეული დღითიდღე იზრდება და მძლავრდება თავისი მშენებლების ბეჯითი შრომით და მზრუნველობით.

მის მიდამოებში წიალისეულის ძიება გრძელდება, უთუოდ მომავალში თქვენც მოგიწევთ წვლილის შეტანა ამ მხარის ბუნების შესწავლაში, ქალაქ მადნეულის ზრდასა და განვითარებაში.

ბუნების

საოცარი სოკო

გიორგი დათუაშვილი

სამხრეთ ამერიკის ტყეებში იზრდება ერთი საოცარი, მრგვალი, ბურთისებური მცენარე, რომლის წონა ხუთ კილოგრამამდე აღწევს. აი, რასა სწერს ამ მცენარის შესახებ ერთი მოგზაური:

„ის იყო თავი დავაღწიე მორიგ დაბრკოლებას—ორმოს მსგავს ჯურღმულს და მტკიცე ალაგს დავაბიჯე, რომ ჩემს ფეხქვეშ რაღაც გასკდა... ამა, ვე დროს ღამესავით ჩამობნელდა კიდეც, მე ვიგრძენი სასტიკი შენჯღრევა თვალში და ცხვირში ცუდი შეგრძნება. თვალებიდან ცრემლი მდიოდა. ბნელი ღამე თანდათან მოიწმინდა და საშუალება მომეცა საკუთარი თვალით დამენახა თუ რა აფეთქდა.

როცა ვნახე რაღაც სოკოს მაგვარი მცენარე, რომელიც ახლაც ბოლავდა, თვალს არ დავუჯერე, მაგრამ დავრწმუნდი, ყველაფრის მიზეზი სწორედ ეს სოკო იყო.

ადგილობრივი ინდიელები, განსაკუთრებით ქალები, უცნაურ სოკოს თეთრკანიანებისაგან თავდასაცავად იყენებენ. ესვრიან მას და, აფეთქდება თუ არა, მოწინააღმდეგეს თვალიდან ცრემლისდენა და გაუთავებელი ცხვირისცემინება აუტყდება.

ერთი გოჭის ამბავი

ქუჯი თორელი

დაიბადა მეცამეტე გოჭი,
ერთი ციცქნა, სამიოდე გოჯი.
და ეს ციცქნა წინ წაუხტა დედას,
ჯერ ბატს ეცა, დაეძგერა დედალ!
იხვის ჭუკსაც ებდღვნა, შეაშინა,
რუხ ინდაურს გადაუხტა წინა.
გაიფხორა ინდაური,
მოუვიდა გოჭზე გული
და ამ დავიდარაბაში
გოჭს ნისკარტი ჩაჰკრა თავში.
აჭყვიტინდა გოჭი მწარედ, არემარე შესძრა,
იჭყვიტინა, იჭყვიტინა და გომურში შეძვრა.
აქ კი ისე დაფრთხა ფური,
კუდი ისე მოუქნია,
რომ ზედ კედელს მიანარცხა
თავგასული გოჭუნია.
გამოვარდა გოჭი გარეთ,
ისევ შესძრა არემარე,—
შიგ ცხვირ-პირში დაეტაკა
ბრაზიან და ბოროტ კატას.
კატა ახტა, ზედ დაახტა,
და მიუზღრ ერთი ათად:
ჩასცხო თათი გოჭს და თანაც
დინგი დაუსისხლიანა.
— აკა... კა... კა,—აკაკანდა კრუხი,
აყაპყაპდა ინდაური რუხი.
— კვატ... კვატ... კვატ... კვატ,—იხვიც
აკვატკვატდა,
— მიაუ... მიაუ...—ბრაზით ჩხავის კატა.
ჩხავილი რომ გაიგონა კატის,
— სი... სი... სიო.—ასისინდა ბატიც.
— ავ... ავ.—ყეფით გამოეენთო მურა.
გოჭი დაფრთხა, დედას მიაშურა.
ნაცემი და დაბეგვილი გოჭი, დედის ურჩი,
„ვაი დედას“ გაჰყვიროდა დასისხლული დრუნჩით.
მოენატრა ალერსი და დედის მკერდი თბილი,
მოენატრა დედის ძუძუ, რძე ნუგბარი, ტკბილი.
მოჰკურცხლა და აგერ, დედაც, საყვარელი დედა,
მარნის კართან გაშოტილი დინჯად ღრუტუნებდა,
გოჭუნები—მისი დები, მისი ღვიძლი ძმები,
თორმეტნივე დედის ძუძუს წოვდნენ გაშმაგებით.

მეცამეტემ რა არ სცადა, ვერსად შერგო თავი,
დაცუნცრუკობს დამშეული, ცმუკავს საცოდავი.
მეცამეტე გოჭისათვის აღარ დარჩა ძუძუ:
აი, თურმე რა მოჰყვება გარე-გარე ძუნძულს!
ასეთია მეცამეტე გოჭი,
ერთი ციცქნა, სამიოდე გოჯი!

ნახატი **გესო ხიდაშელისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა

ქარმა თავის სტუმრობა
ეზოს ამცნო შრიალით
და ძირს კროლა კაკლები
წამოვიდნენ ხრიალით.
გამოცვივდნენ ეზოში
ვანო, გია, ოლია,
წამოკრიფეს კაკალი,—
სულ: ორმოცდაორია,—
ვანომ—ძმაზე რვით ცოტა,
დაზე მეტი—რვა ცალით.
აბა, თქვი, ვის რამდენი,
აუკრეფავს კაკალი?!

ზურაბ თოდაძე

ზაქარია შერაზადიშვილი

ლალლას
გასძახის ლალღა:
— ვინ ავა
უფრო მაღლა,
თავს
მოექცევა ღრუბელს,
არ შეემჩნევა
დალლა?..

* * *

შეუსრულდა ორი
ჩვენებიანთ თინას,
საწოვარას ვუშლით,
ცრემლი უწყებს ბრწყინვას...
დაგვიწუნა მსხალიც,
ატამიც და ვაშლიც...
საწოვარას ითხოვს
ამოდენა ბავშვი.

იური ნარიმანიძე

ტრაბახა ლოკოკინები

იგავი

წვიმის შემდეგ—ბებერ მუხაზე ორი პატარა ლოკოკინა შეხვდა ერთმანეთს.

— ჩემს დარგულ ხეზე ამოსვლის უფლება ვინ მოგცაო?!—გაუბრაზდა დამხვდური.

— ჩემი აქ არ ყოფნის დროს ამ ხეზე რატომ ამოცოცდიო?!—შეუძახა ახლადწვეულმა. ისიც იმას გაიძახოდა, მუხა ჩემი დარგულიაო.

ატყდა ერთი ორომტრიალი.

უცებ, მუხა რომელსაც ძალიან სძულდა ტრაბახები, მძლავრად შეირხა და ორივე ლოკოკინა მოდიდებულ მდინარეში გადაყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავსატეხი



აი ია

იმერი ხარაძე

— ა-ი, ი-ა, ა-ი, ი-ა! —
რა ხანია მარცვლავს ნია,
მოწყენილი შეჰყურებენ
ყურცქვიტა და დათუნია...

ვასო

ავთანდილ მეგრელიშვილი

ბებო ამბობს: — ვასო,
სულ ბაბუას გავსო,
იმისი აქვს სახე,
ამას ვენაცვალე!..
ვასო გაოცებული —
აფახულებს თვალებს,
სურათს უმზერს, ლოყები
მოისინჯა ხელით, —
თქვა: — ბაბუას თუ ვგავარ,
რატომ არ მაქვს წვერი!

ცარიელი უჯრედები შეავსეთ საქართველოს ქალაქების სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მივიღოთ „დედა ენა“.

შეადგინა ზესტაფონის რაიონის მოსწავლემ **სოფიკო სალაძემ.**

შეადგინა ქ. გორის რაიონის, სოფ. ყელქცეულის სკოლის მოსწავლემ **ვახტანგ წევილიძემ.**

რებუსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ გვასახელოს

ნოდარ შამანაძე

—ლია რას წერს?
— ბარათს.
— ვის უგზავნის?
— მამას,—
ვენახშია თურმე
ამ მდინარის გალმა.
— ვის გაატანს?
— წეროს.
— დავუძახო?
— წეროს,
გაიწაფოს ხელი,
წეროს, ბევრი წეროს,
სწავლა ჰყვარებია,
იქნებ გვასახელოს!

ნახატი **ედუარდ ამბოკაძისა**

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იორამ ქეშერტელიძე (პ/მგ. მდივანი) რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი. გამოცემის 49-ე წელი.

ყდაზე ნახატი მანანა მორჩილაძისა

ტექრედაქტორი ენდი ფერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 14/VII-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VIII-76 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 157.250. შეკვ. №2452 . „Дила" № 9. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.